

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალი სდასხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება...ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.	5
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9
1. კორპორატიული ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	13
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	13
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	16
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
9. საგადასახადო ვალდებულებები	18

მოგება ზარალის ანგარიშგება-2021

შენიშვნა	2021 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	2675911
სხვა საოპერაციო შემოსავალი	49341
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2294695
სულ საოპერაციო შემოსავალი	430557
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-215733
ხელფასის ხარჯი	-340512
ამორტიზაციის ხარჯი	-798895
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	-65461
საოპერაციომოგება	-990044
ფინანსური შემოსავლები	126442
ფინანსური ხარჯები	
სულ მოგება	-863602
მოგებისგადასახადი	-
წმინდამოგება/(ზარალი)	-863602

დირექტორი:

ფენგლონგ მა

მოგება ზარალის ანგარიშგება-2021	
შენიშვნა	2021 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	2675911
სხვა საოპერაციო შემოსავალი	49341
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2294695
სულ საოპერაციო შემოსავალი	430557
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-215733
ხელფასის ხარჯი	-340512
ამორტიზაციის ხარჯი	-798895
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	-65461
საოპერაციომოგება	-990044
ფინანსური შემოსავლები	126442
ფინანსური ხარჯები	
სულ მოგება	-863602
მოგებისგადასახადი	
წმინდამოგება/(ზარალი)	-863602

დირექტორი:
ფენგლონგ მა



ბალანსი-2021წ	2021	2020
	31 დეკემბერი 2021(არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2020(არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	122089	136971
არამატერიალური აქტივები	5293858	6077871
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9913391	9910091
სულგრძელვადიანაქტივები	15329338	16124933
ფული და ფულის ექვივალენტები	9521	1110820
სასაქონლო მატერიალური მარაგები	115059	129063
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2416750	2122653
სხვა მიმდინარე აქტივები	7200647	7329234
სულმიმდინარეაქტივები	9741977	10691770
სულაქტივები	25071315	26816703
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებოკაპიტალი	45263145	45263145
გაუნაწილებელიმოგება	-21240491	-20376889
სულკაპიტალი	24022654	24886256
გრძელვადიანავალდებულებები		
გრძელვადიანისესხები		
სულგრძელვადიანი ვალდებულებები		
მიმდინარევაალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები	179111	179111
საგადასახადო ვალდებულებები	0	767491
სავაჭრო ვალდებულებები	592473	707011
მიღებული ავანსები	0	38
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	277077	276796
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1048661	1930447
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	25071315	26816703
დირექტორი:		
ფენგლონგ მა		

ბალანსი-2021წ	2021	2020
	31 დეკემბერი 2021(არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2020(არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		
არამატერიალური აქტივები	122089	136971
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	5293858	6077871
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულგრძელვადიანი აქტივები	9913391	9910091
ფული და ფულის ექვივალენტები	15329338	16124933
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9521	1110820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	115059	129063
სხვა მიმდინარე აქტივები	2416750	2122653
სულმიმდინარე აქტივები	7200647	7329234
სულაქტივები	9741977	10691770
	25071315	26816703
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებოკაპიტალი		
გაუნაწილებელიმოგება	45263145	45263145
სულკაპიტალი	-21240491	-20376889
გრძელვადიანვალდებულებები	24022654	24886256
გრძელვადიანისესხები		
სულგრძელვადიანი ვალდებულებები		
მიმდინარევალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები	179111	179111
საგადასახადო ვალდებულებები	0	767491
სავაჭრო ვალდებულებები	592473	707011
მიღებული ავანსები	0	38
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	277077	276796
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1048661	1930447
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	25071315	26816703

დირექტორი:
ფენგლონგ მა



ფულადი სახსრების მოძრაობა	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1111021
წმინდა ფულადი სახსრებისაინვესტიციო საქმიანობიდან	-3300
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	75622
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი სახსრების	-1038699
სავალუტო კურსის ეფექტი	-62600
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	1110820
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9521

დირექტორი:

ფენგლონგ მა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1111021
წმინდა ფულადი სახსრებისაინვესტიციო საქმიანობიდან	-3300
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	75622
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი სახსრების	-1038699
სავალუტო კურსის ეფექტი	-62600
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	1110820
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9521

დირექტორი:
ფენგლონგ მა



1. კორპორატიული ინფორმაცია

(შემდგომში შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 28 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205199514

ძირითადი საქმიანობა. შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხე-ტყის მოპოვება რეალიზაცია. **იურიდიული მისამართი:** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯუმბერ ლეჟავას ქ., N22

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება ხუაშენ ლტდ. საქართველოს შემდეგი წილობრივი განაკვეთით: 100%

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების

საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

-

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-10
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	10-15
ოფისისაღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები „აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. , ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღებიკომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანიკლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების და ზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში

ყველა სხვა აქტივია ღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ. სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთმოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებები რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიათ. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

მიმდინარე წელს კომპანიის შემოსავლები მიიღებოდა ფინანსური შემოსავლობიდან,

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	
	2021
საიჯარო ქირა	(2 458.00)
დაზღვევის ხარჯი	(4 993.00)
კომუნიკაციის ხარჯები	(7 023.00)
კომპიუტერის ხარჯი	(317.00)
კომუნალური ხარჯი	(6 458.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(61 017.00)
საგადასახადო დასხვა დარიცხვები	(24 021.00)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(2 286.00)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(93 904.00)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(13 255.00)
ჯამი	(215 732)

დირექტორი:

ფენგლონგ მა

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	
	2021
საიჯარო ქირა	(2 458.00)
დაზღვევის ხარჯი	(4 993.00)
კომუნიკაციის ხარჯები	(7 023.00)
კომპიუტერის ხარჯი	(317.00)
კომუნალური ხარჯი	(6 458.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(61 017.00)
საგადასახადო დასხვა დარიცხვები	(24 021.00)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(2 286.00)
სახვა საოპერაციო ხარჯი	(93 904.00)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(13 255.00)
ჯამი	(215 732)

დირექტორი:
ფენგლონგ მა

გორგია



7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

1. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

2021

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულის გადაფასება -65461

ჯამი -65461

1. სხვა ფინანსური შემოსავლები

2021

ფინანსური შემოსავლები 126442

ჯამი 126442

დირექტორი:

ფენგლონგ მა

7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

1. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

2021

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულის გადაფასება

-65461

ჯამი

-65461

1. სხვა ფინანსური შემოსავლები

2021

ფინანსური შემოსავლები

126442

ჯამი

126442

დირექტორი:
ფინგლონგ მა

გონიშ



8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება კომპანიის მიმართ დაგროვილი მოთხოვნით. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები.

9. საგადასახადო ვალდებულებები

დღეის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, 2021წელს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება და (საქართველოს მთავრობის განკარგულება #1534-2021წლის 31 აგვისტო), კომპანიამ სრულად დაფარა საგადასახადო ვალდებულება 31,12,2021წელს.

ფენგლონგ მა
დირექტორი

შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ კო ლტდ“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება კომპანიის მიმართ დაგროვილი მოთხოვნით. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები.

9. საგადასახადო ვალდებულებები

დღეის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, 2021წელს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება და (საქართველოს მთავრობის განკარგულება #1534-2021წლის 31 აგვისტო), კომპანიამ სრულად დაფარა საგადასახადო ვალდებულება 31,12,2021წელს.

ფენგლონგ მა
დირექტორი

ფენგლონგ მა

